



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის
ექსპერტთა საბოლოო დასკვნა
თბილისი საერთაშორისო უნივერსიტეტი (IUT)



INTERNATIONAL
UNIVERSITY OF
TBILISI

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სიარენ ბერკი, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი, გერმანია
წევრები:

ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ირაკლი გაგუა, გაგუას კლინიკა (დამსაქმებელი ექსპერტი), საქართველო

ია ნაცვლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ნინო ალაფიძე, ALTE უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IUT) ახლად დაარსებული დაწესებულებაა. იგი მოიცავს მედიცინისა და ბიზნესის სკოლებს. თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი მიზნად ისახავს წარმატებულ ფუნქციონირებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე; სასწავლო პროგრამები, ძირითადად, ბაზარზე გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით აქვს შემუშავებული; რეაბილიტაციის პროგრამა ინოვაციურია (თუმცა არა სრულად უნიკალური) საქართველოში, ხოლო ბიზნესის პროგრამა წარმოადგენს იმ სფეროს (ლოგისტიკა), სადაც მიწოდება არ აკმაყოფილებს მოთხოვნას საქართველოში.

უნივერსიტეტი დაფუძნებულია იმ კამპუსში, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ახლა უკვე გაუქმებულ უნივერსიტეტს (მილენიუმის უნივერსიტეტი). იგი მიზნად ისახავს თავიდანვე 2000 სტუდენტის განთავსებას, რომელთა უმრავლესობა სავარაუდოდ საერთაშორისო სტუდენტები იქნებიან.

უნივერსიტეტის კამპუსი აღჭურვილია ინვენტარითა და მასალებით, კვლევისა და ლაბორატორიული აღჭურვილობით, (თუმცა ამ უკანასკნელის დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, განკუთვნილია მედიცინის პროგრამისთვის და არა რეაბილიტაციისთვის), ასევე ბიბლიოთეკით (თუმცა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების დიდი ნაწილი ან მოძველებულია ან შეუსაბამოა პროგრამებთან).

უნივერსიტეტმა დაიქირავა აკადემიური პერსონალი, თუმცა მათგან მხოლოდ მცირე რაოდენობაა აფილირებული. თუმცა, აკადემიურ თანამდებობებზე დაქირავებული ცალკეული პერსონალის საერთო ხარისხი ადეკვატურია.

ასევე, უნივერსიტეტს ჯერ არ დაუქირავებია საკვანძო პერსონალი მნიშვნელოვან თანამდებობებზე (როგორცაა მონაცემთა დაცვის ოფიცერი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირების ექსპერტი).

უნივერსიტეტმა გამოაცხადა, რომ მას ექნება ინოვაციური აქცენტი და ამ მიზნით, კავშირი ექნება მწვანე ეკონომიკის სექტორთან (და არა მხოლოდ).

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტებისა და სტუდენტური თვითმმართველობისთვის კლასგარეშე აქტივობების უზრუნველყოფას. თუმცა, ამ ეტაპზე, იქამდე ვიდრე უნივერსიტეტი რეალურად მიიღებს სტუდენტებს, ძალიან რთულია ვიმსჯელოთ, მოეწყოთ თუ არა ამ მიზნით ინფრასტრუქტურა. გარდა ამისა, კამპუსი ძალიან პატარაა იმ რაოდენობის სტუდენტების მისაღებად, რაც დაწესებულებას აქვს გამიზნული. ამგვარად, საკითხავია, რამდენად რეალისტურია ამ კამპუსში კლასგარეშე აქტივობების უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის შენობაში გათვალისწინებულია ექიმის კაბინეტიც. თუმცა, ექიმის კაბინეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მიუწვდომელია, რადგან შესასვლელ კართან არის კიბის საფეხურები. ასევე არ არის გამოყოფილი პარკინგი სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.

უნივერსიტეტს პერსონალისა და სტუდენტებისთვის 65 კომპიუტერი აქვს განკუთვნილი, რაც ამ პირობებში ძალიან მცირე რაოდენობაა.

ახლადშექმნილი ვებგვერდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო ავტორიზაციის შეფასების დროს. ვებგვერდის ინგლისური ვერსიის ბმულებს ან არსად გადავყავდით ან საერთოდ ფუჭი ბმულები იყო.

იგეგმება შიდა აკადემიური ჟურნალის შექმნა, თუმცა ჯერ არ შექმნილა.

ინტერნაციონალიზაციისკენ მიმართული ძალისხმევა ჩანასახის ეტაპზეა და ძირითადად, როგორც ჩანს, გულისხმობს უკრაინის უნივერსიტეტებიდან იმ სტუდენტების მოზიდვას, რომლებმაც ომის გამო შეწყვიტეს სწავლა.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

თვითშეფასების ანგარიში ზოგადად კარგად იყო შედგენილი. თუმცა, თუკი ამ ანგარიშს ბიუჯეტთან და სხვა დოკუმენტაციასთან ერთად განვიხილავთ, ჩანს რომ, უნივერსიტეტი გარკვეულწილად, პირველივე სასწავლო წლიდან სრული სტუდენტური ნაკადით იფუნქციონირებს. ამ მიზნის რეალობად ქცევასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, ასევე იმის მხედველობაში მიღებით, რომ საკვანძო მმართველობითი პოზიციები ჯერ კიდევ ღიაა და კამპუსში, 2000 სტუდენტისთვის არაადეკვატური სივრცეა, ადგილზე არსებული ვითარების შეფასებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის თვითშეფასების ანგარიში მეტისმეტად ოპტიმისტურია და უტოპიურიც კი.

ადგილზე ვიზიტმა საკმაოდ წარმატებით ჩაიარა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პერსონალმა, განსაკუთრებით კი მენეჯმენტმა, ძალიან აქტიური თანამშრომლობა და მასპინძლობა გამოიჩინა. თუმცა, ბევრი განცხადება გაკეთდა იმაზე, რაც მომავალში მოხდება, რაც, რა თქმა უნდა, შეფასების მომენტში რეალურად ვერ შემოწმდება. გასაუბრების დროს, პერსონალის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ მისაღები სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობა არ მიაჩნდათ რეალისტურად და აღნიშნეს, რომ მათი აზრით, ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილი ბიუჯეტი არ იყო რეალისტური, რამეთუ იგი ეფუძნებოდა სტუდენტთა ასეთ რაოდენობას (აქვე აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტის დამფუძნებლებს შესაძლოა დანაკლისის შევსებაც მოუწიოთ). სხვა შეხვედრების დროს, პერსონალის ზოგიერთმა წევრმა ვერ გამოავლინა საკმარისი ინფორმირებულობა უნივერსიტეტის, მისი სტრატეგიისა თუ იმ სისტემის შესახებ, რომლითაც ისინი შეფასდებიან. პერსონალისგან მიღებული ზოგიერთი პასუხი ძალიან ბუნდოვანი იყო, მიზანმიმართულად ან უყურადღებობის გამო.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების გუნდს, დეკანს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, ასევე პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, დამსაქმებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, სტუდენტებს ასევე IT პერსონალს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე განიხილა სხვა დოკუმენტები.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა უნივერსიტეტის შენობა, მათ შორის ბიბლიოთეკა, ექიმის ოთახი, ლაბორატორიები, საკლასო ოთახები და სასადილო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

1. ინტერნაციონალიზაციის იდეა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ უკრაინის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების „მოყვანას“, (რაც, როგორც ჩანს, არის მთავარი მიზანი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი ამჟამად არსებობს).
2. უნივერსიტეტის მისიას სჭირდება ადგილზე არსებული რეალობის ასახვა, ძირითადი ცნებების მკაფიოდ განსაზღვრითა და შემუშავებით. კონკრეტულად, „მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის“ ცნება საფუძვლიანად უნდა იყოს გააზრებული, ჩამოყალიბებული და ახსნილი, ასევე ის თუ რატომ არის ეს სასარგებლო და მართებული კრიტერიუმი და როგორ

დაეხმარება ეს უნივერსიტეტს ეფექტურად ფუნქციონირებაში. ამის მხოლოდ სურვილის სახით გაცხადება, არ განმარტავს იმას, თუ რითია ეს სასარგებლო უნივერსიტეტისთვის.

3. სტუდენტთა ჩართულობას მიეცით ოფიციალური სახე და დარწმუნდით, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ეტაპზე.
4. მისიის განაცხადში ასახეთ უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის სწავლება, კვლევა და საზოგადოებაში ჩართულობა.
5. დაინტერესებულ მხარეებთან (განსაკუთრებით დამსაქმებლებთან) უფრო ღრმა დისკუსიისას საჭიროა იმის დადგენა, თუ სად და როგორ შეძლებენ სტუდენტები სამუშაო ადგილის პოვნას, და უნივერსიტეტის მისია ამ მიმართულებით ხელახლა უნდა იყოს გააზრებული.
6. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარების გეგმა შეუსაბამოს რეალურ მატერიალურ რესურსებსა და სტუდენტთა ჩარიცხვის რეალისტურ პროგნოზს. ანალოგიურად, პერსონალმა უნდა იცოდეს თუ რეალურად რა უწერია უნივერსიტეტს ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რადგან როგორც აღმოჩნდა ეს ასე არ არის. კერძოდ, თუ უნივერსიტეტის ხისტი გეგმაა, რომ ფუნქციონირება დაიწყოს 2000 სტუდენტით, ამაზე პერსონალის პირველი რეაქცია ის არ უნდა იყოს, რომ ეს ძალიან არარეალურია.
7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს არ ეკავოს რამდენიმე როლი, როგორიცაა - პრორექტორი, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვის გარე კომპანიის თავმჯდომარე და სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი.
8. ბრენდის აღიარებისთვის, (ინფორმაციის გავრცელებისა და უცხოელი სტუდენტების დასაკომპლექტებლად) შესაბამისი საერთაშორისო სპეციალისტი უნდა დაიქირავოთ.
9. რესურსები არ უნდა იყოს განკუთვნილი მედიცინის პროგრამისთვის, რომლის განხორციელების (ოფიციალური) გეგმა როგორც ჩანს არ არსებობს. რესურსები უფრო მეტად უნდა დაეთმოს რეალურად დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებს. სასრული რესურსების ვითარებაში აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი არ დაიხარჯოს.
10. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების სათანადოდ გააზრების მცირე მტკიცებულებაა წარმოდგენილი, თუკი გავითვალისწინებთ სტუდენტების შესაძლო დემოგრაფიას. (კონკრეტულად ეს ეხება რეკრუტირებაში უნივერსიტეტის მცდელობებს ისეთი ადგილებიდან, როგორიცაა უკრაინა და ინდოეთი) საჭიროა ამაზე რეაგირება.
11. მდგრად განვითარებაზე ფოკუსირების იდეა დასაფასებელია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია. მწვანე სექტორის დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ამ საკითხს ნათელი არ მოჰყვანია, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზეც მცირე ინფორმაციაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული გეგმის წარდგენაა საჭირო.
12. უნივერსიტეტში მონიტორინგის მექანიზმები მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს, ასევე უნდა მოგვარდეს საქმიანობათა დუბლირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტს შორის.
13. უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები არ აკმაყოფილებს განზრახული სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო სტანდარტებს.
14. უნივერსიტეტმა უნდა განაახლოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა, რათა იგი შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის წესდებსა და უნივერსიტეტმა შეძლოს საქმიანობის ეფექტიანი მართვა.
15. ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სტრუქტურული ერთეულები/პერსონალი, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტულად უცხოელი სტუდენტების საჭიროებებზე/მომსახურებებზე, მულტიკულტურულ გარემოში.

16. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გეგმავს 2000 სტუდენტის მიღებას და სასწავლო პროცესის დღეში სამ ცვლად ჩატარებას და რამდენადაც ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ამჟამად გაფორმებული ყველა კონტრაქტი ადგენს კვირაში 35 სამუშაო საათს (16:00 საათამდე), უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში კადრების რაოდენობა, რათა სტრუქტურულმა ერთეულებმა საკუთარი ფუნქციები ეფექტურად და კოორდინირებულად შეასრულონ.
17. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ინფორმირება მმართველ ორგანოებში არჩევის/დანიშვნის შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ.
18. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობის/დამაბუღლობის რისკებს, ასევე დაწესებულების ფინანსური სიცოცხლისუნარიანობის რისკებს.
19. უნდა განახლდეს სასწავლო პროცესის დებულებები და სტრუქტურული ერთეულების წესდებები, რათა მოიცავდეს სამაგისტრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში (ლოგისტიკა).
20. უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, შესაბამის გეგმებსა და რეგულაციებში სათანადო სტრატეგიების გათვალისწინებით.
21. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტს, არ იყოს ჩართული უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში/მმართველ სტრუქტურებში (საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მიხედვით მონაცემთა დაცვის კომპანია დამოუკიდებელი უნდა იყოს).
22. უნივერსიტეტმა უნდა გამოყოს შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის, რათა უზრუნველყოს დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება და განვითარება.
23. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტურად უნდა გამოიყენოს ადეკვატური მეთოდოლოგია სტუდენტური კონტიგენტის დაგეგმვისთვის და მის საფუძველზე შეაფასოს უნივერსიტეტის მატერიალური, ფინანსური და ადამიანური რესურსები.
24. უნივერსიტეტში მონიტორინგის აპარატი ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული საკვანძო სფეროების სტრატეგიის განხორციელების შესაფასებლად.
25. უნდა აღმოიფხვრას დუბლირება სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის და ამ უკანასკნელს უნდა ჰყავდეს მუდმივი ხელმძღვანელი.
26. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიები.
27. უნივერსიტეტმა პერსონალისთვის უნდა ჩაატაროს ტრენინგი აკადემიური კეთილსინდისიერების ასევე პლაგიატის პრევენციისა და შესაბამისი ინსტრუმენტების/პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.
28. უნივერსიტეტმა უნდა დაიცვას პლაგიატის შესახებ დამტკიცებული შინაგანაწესი.
29. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცედურების დაცვა „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესების“ მიხედვით.
30. რეკომენდებულია, დაზუსტდეს საბაკალავრო ნაშრომის შეფასება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების შესაბამისად.
31. რეკომენდებულია, პერსონალის წახალისების მექანიზმების გამრავალფეროვნება.
32. პროგრამის მდგრადობის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით რეკომენდებულია აფილირების პირობები გახდეს ორმხრივად მიმზიდველი.

33. რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
34. რეკომენდებულია, სკოლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დეკანები და პროგრამების ხელმძღვანელები იყვნენ აფილირებული.
35. რეკომენდებულია, მკაფიო პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და პერსონალთან გაზიარება.
36. რეკომენდებულია, ჩატარდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები.
37. რეკომენდებულია, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა მათი შეფასების კრიტერიუმებისა და წახალისების მექანიზმების შესახებ.
38. რეკომენდებულია, ჩატაროთ კონკურსები და დაასაქმოთ პერსონალი კონკურსების საფუძველზე და არა პირდაპირი დანიშვნის გზით.
39. რეკომენდებულია, ადმინისტრაციულ / დამხმარე თანამდებობებზე პერსონალის დასაქმება უნივერსიტეტის შეუფერხებლად მუშაობის აუცილებლობისა და სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (საგამოცდო ცენტრის პერსონალი, პერსონალი, რომელიც აფასებს და მხარს უჭერს სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდების განვითარებას, პერსონალი რომელიც პასუხისმგებელია კლინიკური კურსების უზრუნველყოფაზე, ფსიქოლოგი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სოციოლოგი კვლევის ჩატარების გამოცდილებით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსონალი, პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტეგრაციას და საუნივერსიტეტო ცხოვრებას საქართველოში).
40. რეკომენდებულია, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაასაქმოს საერთაშორისო ლექტორები თავისი მისიისა და ხედვის განხორციელების მიზნით.
41. რეკომენდებულია, უსაფრთხოების პერსონალმა იცოდეს ინგლისური ენა, დაინიშნოს დამატებითი თანამშრომელი, რომელმაც იცის ინგლისური ენა.
42. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
43. რეკომენდებულია ლექტორის სამუშაო დატვირთვის განაწილება დაეყრდნოს იმ ინფორმაციას, რომელიც გამოთხოვილია იმ უნივერსიტეტიდან, სადაც ისინი მუშაობენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო დატვირთვის სწორი განაწილება და პროგრამების მდგრადი ფუნქციონირება.
44. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
45. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის საჯაროობა დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
46. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მიუთითოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ არის აკრედიტებული, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
47. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ინგლისური ენის ტესტი შეესაბამებოდეს B1 დონის ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენ ტესტს.
48. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააფართოოს საერთაშორისო პარტნიორობა და დამსაქმებელთა ქსელები, სტუდენტური გამოცდილების გამდიდრებისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

49. რეკომენდებულია, კვლევითი პროექტების შესახებ ვებგვერდზე განთავსდეს დეტალური ინფორმაცია.
50. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სათანადოდ შეიმუშაოს კვლევითი პროექტები, რომლებშიც თავად არის ჩართული, ასევე ჩართულობის დონე, ბიუჯეტი და ამ პროექტების შემდგომი პერსპექტივები.
51. უნივერსიტეტში არსებობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მინიმალური მტკიცებულება. აღნიშნული საკითხი უნდა იყოს მოგვარებული.
52. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კვლევით პროექტებთან დაკავშირებით ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალის შესახებ, აღნიშნული არ დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს, მათ მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდებოდა შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული საკითხი უნდა გამოსწორდეს და დაზუსტდეს არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი სინერგიის პოტენციალი. კონკრეტული პროექტები, დაფინანსების გარანტიები, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ. უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გაანგარიშებული და სათანადოდ უნდა იყოს განმარტებული ეკონომიკური აგენტების ჩართულობა.
53. მიუხედავად იმისა, რომ ცხადია პერსონალის კვლევითი საქმიანობის გარკვეული მხარდაჭერა, რეკომენდებულია, უკეთესი და მკაფიოდ განსაზღვრული წახალისების უზრუნველყოფა.
54. რეკომენდებულია, სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სათანადო წამახალისებელი ღონისძიებებით.
55. რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ფართო ვალდებულება კვლევით პროექტებთან დაკავშირებით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.
56. კვლევითი საქმიანობის ძლიერი და ეფექტური შეფასებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კვლევით ცენტრში და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში პერსონალი დასაქმებული იყოს სრულ განაკვეთზე.
57. რეკომენდებულია, შეიქმნას წახალისებისა და შემაფერხებელი ფაქტორის კარგი სისტემა, აკადემიური პროდუქტის სრულყოფილების წახალისების მიზნით.
58. ფაკულტეტის სივრცე არასაკმარისია სასურველი სტუდენტების რაოდენობისთვის. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სივრცე ან შემცირდეს სტუდენტების რიცხვი.
59. აუდიტორიები ბუნებრივი განათების გარეშე არ უნდა იყოს გამოყენებული.
60. უნდა გაიზარდოს კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების რაოდენობა, იმისათვის, რომ ადეკვატურად მოერგოს სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობას.
61. რეკომენდებულია, რეაბილიტაციისთვის უკეთესი ფიზიკური მასალების უზრუნველყოფა.
62. რეკომენდებულია, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის გარეთაც ან ვებ პორტალის მეშვეობით.
63. უნივერსიტეტის ვებგვერდი უნდა გაუმჯობესდეს, მათ შორის, გარე გამოყენებისთვის ვებპორტალის დამატებით.
64. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით დაემატოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები.
65. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს მკაფიო გამოთვლები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და სასურველ მიზნებსა და რეალურ რესურსებს შორის მკაფიო თანხედრა.

რჩევები

- იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი საკუთარ თავს საერთაშორისოს უწოდებს, მიზანშეწონილია საერთაშორისო სფეროს ექსპერტების მიერ რეცენზირება.
- სასურველია, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაში დამატებითი უცხო ენების შეთავაზება.
- მიზანშეწონილია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა სხვადასხვა თანამდებობაზე და შემცირდეს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტის თანაფარდობა მარეგულირებელ დონეზე.
- მიზანშეწონილია, სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

(n/a)

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☒	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☒	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☒	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☒	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐

5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☐	☐	☒	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☒	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☐	☒	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☒	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სიარენ ბერკი (თავმჯდომარე)
2. ირინე ფხაკაძე (წევრი)
3. ია ნაცვლიშვილი (წევრი)
4. ნინო ალავეძე (წევრი)
5. ირაკლი გაგუა (წევრი)
6. ნინო ჯავახიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უსდ-ს მისიის განაცხადი განსაზღვრავს მის როლს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (თუმცა მხოლოდ გაკრვულწილად, რადგან ამ უკანასკნელის უკეთ განვითარებაც შეიძლება). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოკვლევამ აჩვენა, რომ უსდ-ს მისია სრულად არ ასახავს ადგილზე არსებულ რეალობას, რადგან მატერიალური რესურსები და სტრატეგია არ შეესაბამება ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის სტანდარტი 1.1 მოითხოვს, რომ მისიამ განსაზღვროს უსდ-ს მახასიათებლები მისი ტიპისა და მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით, უსდ-ის რეალური მისია, IUT-ის კონტექსტში, მხოლოდ სასწავლო პირობებით შემოიფარგლება. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მისია არ შეიცავს ინფორმაციას კვლევის პირობებისა და იმ სოციალური ჩართულობის აქტივობების შესახებ, რომლებიც უნდა ჩატარდეს აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ.

გარდა ამისა, ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით, უსდ-ს მისიაში გათვალისწინებული უნდა იყოს ცოდნის შექმნა და გავრცელება და უნდა განსაზღვროს უსდ-ს მუშაობის ძირითადი მიმართულებები. ამ მხრივ, ამჟამინდელი ფორმულირება ძალიან ბუნდოვანია.

თვითშეფასების ანგარიშის მე-12 გვერდზე მითითებულია იდეა, რომ უნივერსიტეტი წახალისებს „მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის“ ჩამოყალიბებას, უსდ-ს მისიის ფარგლებში. თუმცა, ექსპერტებისთვის გაუგებარია, როგორ უწყობს ეს ხელს ეფექტური განათლების გავრცელებას. მენეჯმენტმა, გასაუბრებისას აღნიშნა რომ ეს იყო ხარისხის გარანტია, თუმცა განმარტება არ მოუცია. როგორც ჩანს ეს ბოლომდე გააზრებული არ არის.

ამასთან დაკავშირებულია ინტერნაციონალიზაციის ცნება. თუმცა, კონკრეტული თვალსაზრისით, ეს გულისხმობს უკრაინის უნივერსიტეტებიდან იმ სტუდენტების მოზიდვას, რომლებიც იძულებულნი გახდნენ სამშობლოში სწავლა შეეწყვიტათ ომის გამო.

უნივერსიტეტის თანამშრომლებმა კარგად იცოდნენ უნივერსიტეტის მისია. მისია, ხედვა და მიზნები შემუშავდა საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო მონაწილეობით და მოიცავდა პერსონალს, მმართველობის წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (სტუდენტების გარდა). ამ მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და უნივერსიტეტმა თვითშეფასების ანგარიშის მოსამზადებლად დაიქირავა ექსპერტი, რაც გასაგებს ხდის თუ რატომ არის ეს დოკუმენტი არსებითად კარგად შედგენილი. თუმცა, ძალიან რთულია იმის გაგება, ასახავს თუ არა ის ადგილზე არსებულ რეალობას. საუკეთესო პრაქტიკაა, როდესაც თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა არის თანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს. ამ პროცესიდან სტუდენტების გამორიცხვა შემაშფოთებელია (თუნდაც სხვა უნივერსიტეტის სტუდენტების). არ არსებობს იმის გარანტია, რომ სტუდენტთა მოსაზრებები მომავალში გათვალისწინებული იქნება საუნივერსიტეტო ცხოვრების განვითარების ყველა სხვა მნიშვნელოვან მომენტში. ეს პრობლემაა, რადგან სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის შესაქმნელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათ საჭიროებებსა და სურვილებს, განვითარების ყველა ეტაპზე. ეს საკითხი უნდა გამოსწორდეს. პროცესში სტუდენტების ფორმალური და ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების განხორციელება, რომლებიც მოიცავს როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებს. გარდა ამისა, უნდა გაგრძელდეს თანამშრომლობა საქართველოს სტუდენტთა ასოციაციასთან, რამეთუ ეს არის ღირებული შესაძლებლობა სტუდენტთა ჩართულობის მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად.

უნივერსიტეტი აცხადებს რომ უნიკალური მახასიათებელი აქვს სტუდენტთა მოსაზიდად, მათ შორის რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავების გამო. მწვანე სექტორთან ჩართულობა ასევე ინოვაციურია, როგორც საჭიროება (რაც უნივერსიტეტს სურს რომ გააკეთოს). თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ძალიან მცირე რეალური მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტი ამას რეალურად გააკეთებს.

გარკვეული კვლევა ჩატარდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მისიის განაცხადში განსაზღვრული საჭიროებები ასახავს შრომის ბაზარს. თუმცა, აშკარად საჭიროა მეტი დისკუსია დაინტერესებულ მხარეებთან იმის დასადგენად, თუ სად შეუძლიათ სტუდენტებს რეალურად დასაქმება. ამ კუთხით არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად (ასახულია ქვემოთ მოცემულ რეკომენდაციებში) უნივერსიტეტს გარკვეული დრო დასჭირდება რაც ერთ წელზე მეტია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში უნივერსიტეტის მისია, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, ადგილზე ვიზიტი
რეკომენდაციები: - ინტერნაციონალიზაციის იდეა არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ უკრაინის უნივერსიტეტებიდან სტუდენტების „მოყვანას“, (რაც, როგორც ჩანს, არის მთავარი მიზანი, რომლისთვისაც უნივერსიტეტი ამჟამად არსებობს). - უნივერსიტეტის მისიას სჭირდება ადგილზე არსებული რეალობის ასახვა, ძირითადი ცნებების მკაფიოდ განსაზღვრითა და შემუშავებით. კონკრეტულად, „მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის“ ცნება საფუძვლიანად უნდა იყოს გააზრებული, ჩამოყალიბებული და ახსნილი, ასევე ის თუ რატომ არის ეს სასარგებლო და მართებული კრიტერიუმი და როგორ დაეხმარება ეს უნივერსიტეტს ეფექტურად ფუნქციონირებაში. ამის მხოლოდ სურვილის სახით გაცხადება, არ განპარტავს იმას, თუ რითია ეს სასარგებლო უნივერსიტეტისთვის. - სტუდენტთა ჩართულობას მიეცით ოფიციალური სახე და დარწმუნდით, რომ მათი მოსაზრებები გათვალისწინებულია საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ეტაპზე. - მისიის განაცხადში ასახეთ უნივერსიტეტის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის სწავლება, კვლევა და საზოგადოებაში ჩართულობა. - დაინტერესებულ მხარეებთან (განსაკუთრებით დამსაქმებლებთან) უფრო ღრმა დისკუსიისას საჭიროა იმის დადგენა, თუ სად და როგორ შეძლებენ სტუდენტები სამუშაო ადგილის პოვნას, და უნივერსიტეტის მისია ამ მიმართულებით ხელახლა უნდა იყოს გააზრებული.
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2 სტრატეგიული განვითარება

- o უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები.
- o უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- o უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი). უსდ ხელს უწყობს, ან სულ მცირე, მიზნად ისახავს, რომ წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებასა და გაუმჯობესებაში, მიღებული ცოდნის გაზიარებისა და კვალიფიციური კურსდამთავრებულების მომზადების გზით. თუმცა, მისი კვლევის სტრატეგია საეჭვოა და მისი მუშაობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით არასაკმარისად არის განვითარებული. უსდ-ს მიზნები სრულად არ ეფუძნება მის მისიას და მისი საქმიანობის პრიორიტეტებს თუმცა, პერსონალის განვითარებისთვის, ასევე ინტერნაციონალიზაციისა და კვლევისთვის გამოყოფილი მცირე ოდენობის თანხის გათვალისწინებით, ამ მიზნებს სავარაუდოდ ვერ მიაღწევენ მოცემულ დროში. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან რესურსების 80% პერსონალის ბიუჯეტზეა გამოყოფილი და ეს არაადეკვატურ რესურსებს ტოვებს დანარჩენი მიზნების რეალიზებისთვის.

გასაუბრებების დროს ხაზს უსვამდნენ ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს, თუმცა მათი პრაქტიკაში მუშაობა მეტნაკლებად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. საერთო ჯამში ეს არის უნივერსიტეტის მონიტორინგის საკმაოდ დამაბნეველი აპარატის ნაწილი. ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტში მოქმედი მონიტორინგის მექანიზმები მთლიანობაში არაეფექტურია იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერტთა ჯგუფისთვის უნივერსიტეტის შესაფასებლად გამოყოფილ მცირე დროშიც კი გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის სტრატეგიას არ შეუძლია საკვანძო მიმართულებების აზრიანად განხორციელება, რაც უნივერსიტეტში მოქმედ მრავალშრიან მონიტორინგის სისტემას უნდა გამოეყენებინა. მონიტორინგი როდესაც ეფექტურია, ის გამოავლენს აშკარა ხარვეზებს როგორც მსჯელობაში, ისე ბიუჯეტსა და შედეგებში. თუმცა, ამ შემთხვევაში ეს ასე არ ხდება. კერძოდ, ირკვევა რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის არის საქმიანობათა დუბლირება, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს არ ჰყავს მუდმივი ხელმძღვანელი. ბევრ პრობლემაზე ითქვა, რომ „ავტორიზაციის მიღების შემდეგ გადაიჭრება“.

ბიუჯეტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდეს, თავისი შინაარსით არასაკმარისად დეტალურად იყო გაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საბოლოოდ მიეწოდა განახლებული და ოდნავ უფრო დეტალური ბიუჯეტი, ის მაინც არ იყო სათანადოდ დაანგარიშებული და არც სტრუქტურულად იყო გათვალისწინებული. კერძოდ, ბიუჯეტის 80-დან 85%-მდე პერსონალის ხელფასზეა გამოყოფილი, მაშინ როცა ეს მაჩვენებელი, როგორც წესი, 40-45% უნდა იყოს. გარდა ამისა, ბიუჯეტში მიჩნეულია, რომ უნივერსიტეტის ამოქმედებიდან პირველივე დღეს მიიღებენ 2000 სტუდენტს,

რომლებიც სწავლის საფასურს გადაიხდიან. თუმცა, უნივერსიტეტში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსი, 2000 სტუდენტს ვერ გაუმკლავდება. გარდა ამისა, გასაუბრებისას, თავად პერსონალმაც ექვეყნე დააყენა თუ რამდენად შესაძლებელია ამის შესრულება. ზოგიერთმა თანამშრომელმა კი ის გარემოებაც განიხილა, რომ „ერთი სტუდენტის შემთხვევაშიც“ დაიწყებენ მუშაობას. ეს ასახავს, რომ სერიოზულად გადახრილია ერთმანეთისგან თვითშეფასების ანგარიშში დაწერილი სტრატეგია როგორც ბიუჯეტისგან, ასევე პერსონალის მოლოდინებისა და მატერიალური რეალობისგანაც. ეს აშკარად სერიოზული ხარვეზია.

უნივერსიტეტის სტრატეგია აშკარად, ნაწილობრივ მაინც, მიმართულია ბაზარზე არსებული დანაკლისის შესაცვლად.

თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას, მაგრამ ადგილზე ვიზიტისას მოპოვებული მტკიცებულებები არ მოწმობდა ამას. პერსონალი საკმაოდ გამოცდილი იყო (და ეს, რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს ძლიერი მხარე). თუმცა, ეს აჩვენებს განსხვავებას უნივერსიტეტის მიერ ქაღალდზე გაცხადებულ სტრატეგიასა და ადგილზე არსებულ რეალობას შორის. ეს შემაშფოთებელია.

ის ფაქტი, რომ თვითშეფასების ანგარიშში გასული წლის ნოემბრიდან ექსპერტმა შეადგინა, ხოლო პერსონალის დასაქმება მუდმივად მიმდინარეობდა, იმაზე მიანიშნებს, რომ გაკრველწილად საეჭვოა თუ რა დონეზე შეეძლოთ პერსონალის ინდივიდუალურ წევრებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა თვითშეფასების ანგარიშსა და სტრატეგიასთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავებაში. მაგალითად, როდესაც ექსპერტმა ჯგუფმა იკითხა, თუ როგორ გასცა აკადემიურმა პერსონალმა რჩევები უნივერსიტეტის მიერ მიღებულ სტრატეგიასთან დაკავშირებით, ექსპერტმა ჯგუფს განუმარტეს რომ ისინი დაეხმარნენ „რებრენდინგში“, რაც სულაც არ არის ყველაზე აქტუალური საკითხი, რომელზეც პერსონალს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლო. თუმცა, მოგვიანებით ექსპერტმა ჯგუფს უთხრეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განსაზღვრაში პერსონალიც იყო ჩართული.

გაურკვეველია, რომელი კონკრეტული მეთოდოლოგია იქნა მიღებული სტრატეგიული დაგეგმვისთვის, თუმცა ექსპერტმა ჯგუფმა ეს კითხვა არაერთხელ დასვა.

მდგრად განვითარებაზე ფოკუსირების იდეა დასაფასებელია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია. მწვანე სექტორის დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ამ საკითხს ნათელი არ მოჰყვანია, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზეც მცირე ინფორმაციაა მოცემული.

ხარისხის მართვის სამუშაო ჯგუფის დამოუკიდებლობა და ხარისხი გაუმჯობესდებოდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი (დე ფაქტო) იმავდროულად პრორექტორი და მონაცემთა დაცვის დე ფაქტო ოფიცერი და ასევე იმ კომპანიის თავმჯდომარე რომ არ იყოს, რომელიც გარე მონაცემთა დაცვის „პაკეტს/გამოსავალს“ ამზადებს უნივერსიტეტისთვის (იგი კიდევ სამ სხვა უნივერსიტეტში მუშაობს). მონაცემთა დაცვის მიმართულებით ორმაგი როლი ასევე აჩენს ინტერესთა კონფლიქტის საკითხს და სავარაუდოდ არღვევს საქართველოს კანონს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ.

ბრენდის გაძლიერება პრიორიტეტად არის დასახელებული, მაგრამ შესაბამისი საერთაშორისო სპეციალისტი (ინფორმაციის გავრცელებისა და უცხოელი სტუდენტების დასაკომპლექტებლად) არ არის დაქირავებული და ამის შესახებ კითხვაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაქირავების პროცესი შესაძლოა ჯერ არ დაიწყო. ეს არ არის ოპტიმალური, ისევე როგორც ის ფაქტი,

რომ სავარაუდოდ (როგორც ექსპერტებს განუცხადეს) დაქირავების პროცესი არ მოხდება ღია კონკურსის გზით.

წარმოდგენილი რესურსებისა და გეგმების გაკრვეული ნაწილი, როგორც ჩანს გამიზნული იყო ამჟამად უკვე არარსებული სამედიცინო პროგრამისთვის. ეს უნდა გამოსწორდეს, რამეთუ ამ მიმართულებით რესურსების გამოყოფა, როდესაც უნივერსიტეტს არ აქვს მედიცინის პროგრამა, წარმოადგეს სივრცის არამიზნობრივ ხარჯვას და ასეთი რესურსების საჭიროება არ დგას იმ უნივერსიტეტში, რომელიც ექიმებს არ ამზადებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც არ აქვს ნახსენები, რომ მომავალში მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენას გეგმავს.

სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების სათანადოდ გააზრების მცირე მტკიცებულებაა წარმოდგენილი, თუკი გავითვალისწინებთ სტუდენტების შესაძლო დემოგრაფიას. საჭიროა ამაზე რეაგირება.

ადგილზე არსებული საუნივერსიტეტო დინამიკა, სრულად სულაც არ ასახავს იმას, რაც დოკუმენტაციაში იყო აღნიშნული. მაგალითად, ექსპერტებისთვის წარდგენილ დოკუმენტში სახელწოდებით „სტუდენტური კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტები დღეში ორ ცვლად ისწავლიან. თუმცა, გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ იქნება სამი ცვლა. მსგავსი შეშფოთება შეიძლება გამოითქვას სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებითაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული გეგმა და ადგილზე ვიზიტი
ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა
ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
ბიუჯეტი და განახლებული ბიუჯეტი
სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სტრატეგიული განვითარების გეგმა შეუსაბამოს რეალურ მატერიალურ რესურსებსა და სტუდენტთა ჩარიცხვის რეალისტურ პროგნოზს. ანალოგიურად, პერსონალმა უნდა იცოდეს თუ რეალურად რა უწერია უნივერსიტეტს ოფიციალურ დოკუმენტაციაში, რადგან როგორც აღმოჩნდა ეს ასე არ არის. კერძოდ, თუ უნივერსიტეტის ხისტი გეგმაა, რომ ფუნქციონირება დაიწყოს 2000 სტუდენტით, ამაზე პერსონალის პირველი რეაქცია ის არ უნდა იყოს, რომ ეს ძალიან არარეალურია.
2. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს არ ეკავოს რამდენიმე როლი, როგორებიცაა - პრორექტორი, მონაცემთა დაცვის ოფიცერი, მონაცემთა დაცვის გარე კომპანიის თავმჯდომარე და სხვა უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი.
3. ბრენდის აღიარებისთვის, (ინფორმაციის გავრცელებისა და უცხოელი სტუდენტების დასაკომპლექტებლად) შესაბამისი საერთაშორისო სპეციალისტი უნდა დაიქირავოთ.

4. რესურსები არ უნდა იყოს განკუთვნილი მედიცინის პროგრამისთვის, რომლის განხორციელების (ოფიციალური) გეგმა როგორც ჩანს არ არსებობს. რესურსები უფრო მეტად უნდა დაეთმოს რეალურად დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებს. სასრული რესურსების ვითარებაში აუცილებელია, რომ ეს უკანასკნელი არ დაიხარჯოს. 5. სტუდენტზე ორიენტირებული სერვისების სათანადოდ გააზრების მცირე მტკიცებულებაა წარმოდგენილი, თუკი გავითვალისწინებთ სტუდენტების შესაძლო დემოგრაფიას. (კონკრეტულად ეს ეხება რეკრუტირებაში უნივერსიტეტის მცდელობებს ისეთი ადგილებიდან, როგორიცაა უკრაინა და ინდოეთი). საჭიროა ამაზე რეაგირება. 6. მდგრად განვითარებაზე ფოკუსირების იდეა დასაფასებელია, მაგრამ ძალიან ბუნდოვანია. მწვანე სექტორის დამსაქმებლებთან გასაუბრებისას ამ საკითხს ნათელი არ მოჰყვანია, ხოლო უნივერსიტეტის ვებგვერდზეც მცირე ინფორმაციაა მოცემული. ამასთან დაკავშირებით უფრო კონკრეტული გეგმის წარდგენაა საჭირო. 7. უნივერსიტეტში მონიტორინგის მექანიზმები მნიშვნელოვნად უნდა დაიხვეწოს და გამარტივდეს, ასევე უნდა მოგვარდეს საქმიანობათა დუბლირება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტს შორის. 8. უნივერსიტეტში არსებული მატერიალური რესურსები არ აკმაყოფილებს განზრახული სტრატეგიის განხორციელებისთვის საჭირო სტანდარტებს.
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- o უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. - o უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. - o უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. - o უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის უმთავრესი საქმიანობის განხორციელებას: სასწავლო პროცესისა და კვლევის ჩატარებას. უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევას, ორგანიზაციის მენეჯმენტის სტრუქტურაში არსებული შემდეგი სტრუქტურული ერთეულები ემსახურება: პარტნიორთა საერთო კრება, უნივერსიტეტის საბჭო, რექტორი, პრორექტორი და ხარისხის მართვის დეპარტამენტი. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულებია სკოლები. სკოლების მმართველი ორგანოა სკოლის საბჭო და სკოლის დეკანი. უნივერსიტეტს აქვს ორი ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული: ბიზნესის სკოლა და ჯანდაცვის სკოლა. თითოეული სკოლა მუშაობს წესდების საფუძველზე. უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული პერსონალი არის რექტორი. რექტორს უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრება 3 წლის ვადით ნიშნავს. რექტორი ნიშნავს პრორექტორს და ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა არაადეკვატურია, რადგან ის ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მეწყერი, მაშინ, როცა არ იაზრებს უფრო სერიოზულ რისკებს, მაგალითად იმას, რომ 2000 სტუდენტის მიღების შემთხვევაში კამპუსი ძალიან პატარა იქნება, უნივერსიტეტს კი არ ჰყავს საკმარისი პერსონალი ამ რაოდენობის სტუდენტთან სამუშაოდ; გარდა ამისა არ ითვალისწინებს იმ რისკს, თუკი 2000-ზე ნაკლებ სტუდენტს მიიღებს, რაც, ბიუჯეტის თანახმად, დაწესებულების ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე მოახდენს გავლენას. მმართველი ორგანოების/ერთეულების და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დეტალური აღწერა მოცემულია უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტებში. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მოიცავს აქტივობებს, რომლებიც მიმართულია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და საოპერაციო გეგმებში ასახული მიზნების მისაღწევად. უნივერსიტეტში არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტი; კარიერისა და სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი; იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური; საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური; ფინანსური სამსახური; ბიბლიოთეკა; საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური; საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური; დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური; ლოგისტიკისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური; კვლევითი ცენტრი; ადამიანური რესურსების მართვის სამსახური; უწყვეტი განათლების ცენტრი. უნივერსიტეტის საბჭო ირჩევს 3 წლის ვადით. საბჭოში შედის შემდეგი პოზიციები: რექტორი, პრორექტორი, ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, დეკანები, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი და არჩეული წევრები - აკადემიური

პერსონალის წარმომადგენლები, ასევე, შემდგომში უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი.

უნივერსიტეტმა განსაზღვრა მმართველი ორგანოების ფორმირების წესი, რათა უზრუნველყოს, რომ მმართველ ორგანოებში არჩევნები/დანიშვნა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი. უნივერსიტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს სკოლის საბჭო პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. უნივერსიტეტის საბჭოს წევრად კურსდამთავრებულს შეარჩევს უნივერსიტეტის რექტორი სკოლის საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატებს შორის (თითო სკოლა წარმოადგენს კურსდამთავრებულის 1 კანდიდატს). უნივერსიტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სკოლის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის მიხედვით.

სკოლის მმართველი ორგანოა სკოლის საბჭო. სკოლის დეკანს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. სკოლის საბჭოში შედიან აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები. სკოლის საბჭოში სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს საბჭოს წარმომადგენლობის 1/4-ზე ნაკლები.

უნივერსიტეტის ორივე სკოლის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებიდან ირკვევა, რომ აკადემიური პერსონალის ზოგიერთმა წარმომადგენელმა არ იცოდა უნივერსიტეტის საბჭოში წევრად არჩევის შესაძლებლობებისა და შესაბამისი პროცედურების შესახებ. აკადემიური პერსონალის ნაწილი აცხადებს, რომ უნივერსიტეტის საბჭოს წევრები რექტორის მიერ გამოცხადებული კონკურსით ირჩევიან. ზოგიერთმა აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის საბჭოს წევრებს სკოლის საბჭო ირჩევს.

უსდ-მ უნდა უზრუნველყოს აკადემიური პერსონალის ინფორმირება მმართველ ორგანოებში არჩევის/დანიშვნის შესაძლებლობებისა და პროცედურების შესახებ.

უნივერსიტეტის სტრუქტურის სქემა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ სქემის მიხედვით მრჩვევლთა საბჭოც-შედის უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, მაგრამ მრჩვევლთა საბჭო არ არის ნახსენები უნივერსიტეტის წესდებაში და არც მისი ფუნქციები განსაზღვრული. მრჩვევლთა საბჭოს, როგორც ჩანს, ოფისები აქვს შენობაში, რაც ძალზე უჩვეულოა და ეს, მიუთითებს იმაზე, რომ უფრო მეტად პრაქტიკული როლი სურთ.

უნივერსიტეტის წესდება და ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა განახლდეს, რათა დაწესებულებამ ეფექტურად წარმართოს მისი საქმიანობა. უნივერსიტეტმა უნდა განახლოს თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა დარწმუნდეს, რომ იგი შეესაბამება უნივერსიტეტის წესდებას, მაგალითად, უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში წარმოდგენილია სკოლები, პროგრამის განვითარების კომიტეტები და პროგრამის ლიდერები, მაგრამ როგორ არიან ისინი დაკავშირებული დანარჩენ სტრუქტურულ ერთეულებთან, სქემაში ნაჩვენები არ არის.

ვინაიდან უნივერსიტეტი გეგმავს სხვადასხვა ქვეყნის/სხვადასხვა კულტურის მქონე უცხოელი სტუდენტების დიდი რაოდენობის ჩარიცხვას ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგში, უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სტრუქტურული ერთეულები/პერსონალი, რომლებიც კონკრეტულად უცხოელი სტუდენტების საჭიროებებზე და მულტიკულტურულ გარემოში მათ მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე მითითებულია ინფორმაცია სტუდენტების თვითმმართველობის შესახებ. სტუდენტური თვითმმართველობის წესები განისაზღვრება სტუდენტების უფლებებისა და

კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებით. ამ მექანიზმში ნათქვამია, რომ სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას ახორციელებენ უნივერსიტეტის სტუდენტები სტუდენტთა თვითმმართველობის დებულების/წესდების შესაბამისად. თუმცა სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება/წესდება სხვა დოკუმენტებს შორის არ იყო წარმოდგენილი. — უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულება/წესდება და ხელმისაწვდომი გახადოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტის ვებგვერდის მიხედვით, „სტუდენტური თვითმმართველობა არის სტუდენტური ორგანიზაცია, რომელიც შედგება სკოლების წარმომადგენლებისგან. სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი მიზანია მრავალფეროვანი და აქტიური სტუდენტური საზოგადოების შექმნა, სტუდენტების ჩართულობის გაძლიერება და საუნივერსიტეტო საქმიანობაში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. სტუდენტური თვითმმართველობა: ამტკიცებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას; უზრუნველყოფს სტუდენტების მონაწილეობას უნივერსიტეტის მართვაში; ნიშნავს წარმომადგენელს სკოლის საბჭოში; ახორციელებს კანონით და სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას არ აქვს უფლება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში“.

იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი გეგმავს 2000 სტუდენტის მიღებას და სასწავლო პროცესის დღეში სამ ცვლად ჩატარებას (ეს გასაუბრების თანახმად, თუმცა დოკუმენტი სახელად „სტუდენტთა კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“ ახსენებს ორ ცვლას) და რამდენადაც ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან ამჟამად გაფორმებული ყველა კონტრაქტი ადგენს კვირაში 35 სამუშაო საათს (16:00 საათამდე), უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში კადრების რაოდენობა, რათა სტრუქტურულმა ერთეულებმა საკუთარი ფუნქციები ეფექტურად და კოორდინირებულად შეასრულონ. გარდა ამისა, უნდა განახლდეს სასწავლო პროცესის დებულებები და სტრუქტურული ერთეულების წესდებები, რათა მოიცავდეს სამაგისტრო პროგრამას ბიზნესის ადმინისტრირებაში (ლოგისტიკა).

უნივერსიტეტს გააჩნია ბიზნესის უწყვეტობის გეგმა. ბიზნესის უწყვეტობის დაგეგმვა გულისხმობს რამდენიმე ტიპის რისკის შეფასებას, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ უნივერსიტეტის ფუნქციონირებაზე. თუმცა, ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმამ უნდა გაითვალისწინოს სოციალური და პოლიტიკური არასტაბილურობის/დამაბულობის პოტენციური რისკები. ასევე, მულტიკულტურულ ან სპეციფიკურ კულტურულ გარემოსთან დაკავშირებული რისკებიც შეიძლება იყოს რისკი, თუ პერსონალი არ არის ამისთვის მზად და არ არის საამისოდ გადამზადებული, არ იციან როგორ გაუმკლავდნენ მრავალფეროვან კულტურას, და არ ფლობენ შესაბამის კომპეტენციებს და ა.შ. ბიზნესის უწყვეტობის გეგმა არაადეკვატურია, რადგან ის ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა მეწყერი, მაშინ, როცა არ იაზრებს უფრო სერიოზულ რისკებს, მაგალითად იმას, რომ 2000 სტუდენტის მიღების შემთხვევაში კამპუსი ძალიან პატარა იქნება, უნივერსიტეტს კი არ ჰყავს საკმარისი პერსონალი ამ რაოდენობის სტუდენტთან სამუშაოდ; გარდა ამისა არ ითვალისწინებს იმ რისკს, თუკი 2000-ზე ნაკლებ სტუდენტს მიიღებს, რაც, ბიუჯეტის თანახმად, დაწესებულების ფინანსურ სიცოცხლისუნარიანობაზე მოახდენს გავლენას.

რამდენადაც, უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ არის ინგლისურ ენაზე და ორიენტირებულია უცხოელ სტუდენტებზე, ინტერნაციონალიზაციის პროცესი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მემორანდუმები ოთხ საერთაშორისო პარტნიორთან. თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტმა უნდა

გაადლიეროს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შესაბამისი სტრატეგიები შესაბამის გეგმებსა და რეგულაციებში.

როგორც ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის როლი ამჟამად პრორექტორს ეკისრება. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის (ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის) თანამშრომელმა ან უფლებამოსილმა პირმა ან სხვა პირ(ებ)მა, მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შეუძლია შეასრულოს სხვა ფუნქციები, თუკი ეს არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ამასთან, საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური ოფიცრის შესახებ გაცემულ რეკომენდაციებში აღნიშნავს, რომ ოფიცერი არ შეიძლება იყოს მონაცემთა დამუშავების პროცესში უშუალოდ ჩართული და გადაწყვეტილების მიმღები პირი. ამ შემთხვევაში კი ნათლად არის ინტერესთა კონფლიქტი. შესაბამისად, არც პრორექტორი და არც ის კომპანია, რომლის დირექტორიც არის პრორექტორი, კანონის მოთხოვნების შესაბამისად არ შეიძლება ჩაითვალოს მონაცემთა დაცვის ოფიცრად. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიის წარმომადგენელი, რომელიც ემსახურება უნივერსიტეტს, არ იყოს ჩართული უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში/მმართველ სტრუქტურებში (საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონის მიხედვით მონაცემთა დაცვის კომპანია დამოუკიდებელი უნდა იყოს).

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების დამუშავების სისტემას. საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირების დაწყების შემდეგ, საგანმანათლებლო პროგრამებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის #90/ნ ბრძანების შესაბამისად წარედგინება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს. აღნიშნულ ინფორმაციას საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის პასუხისმგებელი პერსონალი წარადგენს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის სტრუქტურა <https://iut.edu.ge/en/chven/struqtura/>;
- უნივერსიტეტის წესდება;
- უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- სკოლების წესდებები;
- უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;
- მართვის ორგანოების ფორმირების წესი;
- სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები;
- საქმისწარმოების წესი.
- საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოების სისტემა;
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- მენეჯმენტის ეფექტურობის მონიტორინგის მექანიზმები;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა <https://iut.edu.ge/en/chven/saertashoriso-urtiertobebi/partniori-universtitetebi-da-organizatsiebi/>;
- მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან;
- უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები
- ხელშეკრულებები უცხოურ უნივერსიტეტებთან;
- უნივერსიტეტის საბჭოსა და სკოლის საბჭოების სხდომის ოქმი;
- შეთანხმება მონაცემთა დაცვის აუტოსორს კომპანიასთან;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობების ჩამონათვალი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები/განვითარების გეგმა;
- სტუდენტთა განაწილების ცხრილი;
- შეთანხმება ელ.ფოსტის სერვისის პროვაიდერთან;

3. რეკომენდებულია, გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. 4. რეკომენდებულია, სკოლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით დეკანები და პროგრამების ხელმძღვანელები იყვნენ აფილირებული. 5. რეკომენდებულია, მკაფიო პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება და პერსონალთან გაზიარება. 6. რეკომენდებულია, ჩატარდეს პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები. 7. რეკომენდებულია, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალის ინფორმირებულობის გაზრდა მათი შეფასების კრიტერიუმებისა და წახალისების მექანიზმების შესახებ. 8. რეკომენდებულია, ჩაატაროთ კონკურსები და დაასაქმოთ პერსონალი კონკურსების საფუძველზე და არა პირდაპირი დანიშვნის გზით. 9. რეკომენდებულია, ადმინისტრაციულ / დამხმარე თანამდებობებზე პერსონალის დასაქმება უნივერსიტეტის შეუფერხებლად მუშაობის აუცილებლობისა და სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (საგამოცდო ცენტრის პერსონალი, პერსონალი, რომელიც აფასებს და მხარს უჭერს სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდების განვითარებას, პერსონალი რომელიც პასუხისმგებელია კლინიკური კურსების უზრუნველყოფაზე, ფსიქოლოგი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სოციოლოგი კვლევის ჩატარების გამოცდილებით და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალი, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის პერსონალი, პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ინტეგრაციას და საუნივერსიტეტო ცხოვრებას საქართველოში). 10. რეკომენდებულია, თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაასაქმოს საერთაშორისო ლექტორები თავისი მისიისა და ხედვის განხორციელების მიზნით. 11. რეკომენდებულია, უსაფრთხოების პერსონალმა იცოდეს ინგლისური ენა, დაინიშნოს დამატებითი თანამშრომელი, რომელმაც იცის ინგლისური ენა. 12. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობის გაზრდა, მოსალოდნელი სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
რჩევები: • არ მიეთითება
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტში დასაქმებულია 23 აკადემიური და 43 მოწვეული პერსონალი. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოითხოვეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ უახლესი ინფორმაცია (დამატებითი დოკუმენტი N34), რომელიც არ იყო მოწოდებული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავიანთ გადაწყვეტილებებს აფუძნებენ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ თავდაპირველ ინფორმაციას. რაც შეეხება ლექტორების დატვირთვის სქემას, ძნელია იმის შეფასება ხორციელდება თუ არა მისი განახლება ყოველთვიურად, ვინაიდან უნივერსიტეტი არ ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და ინფორმაცია არ არის ატვირთული QMS მონაცემთა ბაზაში (რადგან უნივერსიტეტი ახალია და ჯერ არ აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი). ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტი, ლექტორების სხვა უნივერსიტეტებში მიმდინარე დატვირთვის შესახებ (დამატებითი დოკუმენტი N24), თუმცა დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი. ბუნდოვანია, როგორ განისაზღვრა ლექტორის დროის ხელმისაწვდომობა და სამუშაო დატვირთვა. უნივერსიტეტმა ოფიციალურად უნდა შეაგროვოს ინფორმაცია ლექტორების დატვირთვის შესახებ სხვა უნივერსიტეტებში და დატვირთვის განაწილების დროს იხელმძღვანელოს აღნიშნული ინფორმაციით.

აკადემიური პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით, დატვირთვის სქემა მოიცავს საათების განაწილებას ძირითად (მაგ. სააუდიტორიო აქტივობებისთვის მომზადება) და დამატებით (მაგ. სილაბუსის მომზადება / განახლება) სასწავლო, სამეცნიერო - კვლევით (მაგ. სამეცნიერო სტატიის მომზადება და პრეზენტაცია) და სხვა (მაგ. სარედაქციო მუშაობა სამეცნიერო ჟურნალისთვის) საქმიანობას. ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნება პერსონალის სამუშაო დატვირთვის გადაჭარბება. საკონკურსო კომიტეტის სხდომის ოქმებისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ლექტორების უმეტესობა დასაქმებულია რამდენიმე სხვა უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე ან მოწვეული პერსონალის პოზიციაზე. ეს აჩენს კითხვას პროგრამების მდგრადი განვითარების შესახებ.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტთა ჩარიცხვის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება პერსონალის მინიმალური რაოდენობა და მომავალი წლების სამიზნე ნიშნულები. აღსანიშნავია, რომ განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა - 1 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი, აღნიშნული რაოდენობა არ არის საკმარისი პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად იმ სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებით, რომლის მიღებაც დაგეგმილი აქვს უნივერსიტეტს. ზემოაღნიშნული პოლიტიკის მიხედვით, ერთი აკადემიური პერსონალი არ უნდა იყოს პასუხისმგებელი 70-ზე მეტ სტუდენტზე. თვითშეფასების თანახმად უნივერსიტეტში დასაქმებულია 23 აკადემიური პერსონალი. შესაბამისად აკადემიური პერსონალის არსებული რაოდენობა საკმარისია $23 \times 70 = 1610$ სტუდენტისთვის. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მითითებულია შენიშვნა, რომ ერთი და იგივე პროფესორი შეიძლება განიხილებოდეს სხვადასხვა პროგრამაზე კონკრეტული მიმართულებით. ეს უკანასკნელი ზრდის აკადემიური პერსონალის დატვირთვის გაზრდის ალბათობას და ამცირებს კვლევითი და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობების სათანადოდ შესრულების შესაძლებლობას. შიდა სტანდარტების გათვალისწინებით დასაქმებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოემსახუროს 2000 სტუდენტს.

რაც შეეხება შიდა სტანდარტებს, ასევე გასათვალისწინებელია ეროვნული და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა და უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობის შიდა სტანდარტი. უფრო მეტად მომგებიანი და ხარისხზე ორიენტირებული იქნება, თუ კი უნივერსიტეტი განიხილავს აკადემიური პერსონალის / სტუდენტების მიმდინარე თანაფარდობის შემცირებას. უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს სამიზნე ნიშნულების შემუშავებაზე, რათა ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა.

ამავდროულად ვითხოვთ პერსონალის შესარჩევი კომისიის ნაშრომებს, ოქმებს, გადაწყვეტილებებს და ა.შ. (დამატებითი დოკუმენტები N33).
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები, გასაუმჯობესების შედეგები და ა.შ. • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუები; • სტუდენტთა ჩარიცხვის კვლევის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია ლექტორის სამუშაო დატვირთვის განაწილება დაეყრდნოს იმ ინფორმაციას, რომელიც გამოთხოვილია იმ უნივერსიტეტებიდან, სადაც ისინი მუშაობენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამუშაო დატვირთვის სწორი განაწილება და პროგრამების მდგრადი ფუნქციონირება. 2. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით (2000).
რჩევები: - მიზანშეწონილია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მინიმალური რაოდენობა სხვადასხვა თანამდებობაზე და შემცირდეს აკადემიური პერსონალის და სტუდენტის თანაფარდობა მარეგულირებელ დონეზე.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
0 უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

0 უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ - ს ოფიციალურ ვებგვერდზე რეგულაციები და პროცედურები ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. თუმცა, ვებგვერდზე არ არის ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის ღირებულების შესახებ. უფრო მეტიც, არ არის მითითებული, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ არის აკრედიტებული. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურების შესახებ დამტკიცებული შიდასაუნივერსიტეტო დოკუმენტის ფარგლებში, დანართი N1 მიხედვით წარმოდგენილია – ფიზიკურ მედიცინაში და რეაბილიტაციაში ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტების ნიმუში, მათთვის ვინც არ ჩააბარებს ერთიან ეროვნულ გამოცდებს (მოწოდებულია დამატებითი დოკუმენტების სახით). ტესტის მეშვეობით უნდა დადგინდეს, შეესაბამება თუ არ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის ინგლისური ენის ცოდნა B1 დონეს, მაგრამ აღნიშნული ტესტები არის A1 დონის შესაბამისი. CEFR (საერთო ევროპული კომპეტენციები უცხოური ენების ფლობის შესახებ: შესწავლა, სწავლება, შეფასება) ენობრივი უნარების აღმწერი. CEFR-ის მიხედვით, B1 დონის ტესტის გასავლელად უნდა შეფასდეს ზმნიზედების, პირობითი წინადადებების, ფრაზეული ზმნების, წარსული განგრძობითის, წარსული სრულის და სხვა თემების ცოდნა. რაც შეეხება A1 ფლობის ცოდნას, უნდა შეფასდეს აწმყო მარტივი, ყოფნა ზმნის ფორმები და სხვა თემები. მოწოდებული ტესტის ფარგლებში ვაწყდებით სავარჯიშოებს, რომელიც ადგენს ცოდნის ფლობას კუთვნილებით ფორმა s-თან, აწმყო მარტივთან, ყოფნა ზმნის ფორმებთან მიმართებით, ამიტომ ტესტი შეესაბამება A1 დონეს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინგლისური ენის სათანადო ტესტების შემუშავებას. უსდ - ს წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ნათლად გამოიკვეთა პროაქტიული პოზიცია სტუდენტების უფლებების დასაცავად. სტუდენტური ხელშეკრულებების გაფორმებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები სათანადოდ არის აღწერილი მარეგულირებელ დოკუმენტებში. სტუდენტური ხელშეკრულება ნათლად აღწერს უფლებებსა და მოვალეობებს, ასახავს კანონის მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას. სტუდენტის უფლებების დისციპლინური პროცესების კოდიფიკაცია აძლიერებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებას პროცედურული სამართლიანობის და სტუდენტის უფლებების მიმართ. პროცედურების ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც ეხება სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ჩარჩოს განსაზღვრა, რომელიც მოიცავს სტუდენტურ თვითმმართველობას, სტაჟირებას და აკადემიურ და კლასგარეშე შესაძლებლობებს, მიუთითებს უნივერსიტეტის მზადყოფნაზე სტუდენტებს შეუქმნას შესაბამისი გარემო.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებები; • სასწავლო პროცესის ორგანიზების დებულებები;

• სწავლის პერიოდში მოპოვებული განათლების დასრულების (ECTS კრედიტები) აღიარების წესი; • უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში; • სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები; • ეთიკის კოდექსი; • საკონსულტაციო მომსახურების წესები; • უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურები; • გამოცდების ჩატარების დებულებები; • ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში ინგლისური ენის ცოდნის დადასტურების წესები, ვისაც არ ჩაუბარებია ერთიანი ეროვნული გამოცდები; • უნივერსიტეტის ვებგვერდი: iut.edu.ge.
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების საფასურის საჯაროობა დაინტერესებული პირებისათვის, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. 2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ მიუთითოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამები ჯერ არ არის აკრედიტებული, მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. 3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ინგლისური ენის ტესტი შესაბამისობაშია B1 დონის ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენ ტესტს.
რჩევები: არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
- o სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. - o უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. - o უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

o უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ - ს პროაქტიული მიდგომა სტუდენტთა მხარდაჭერის მიმართ კარგად არის გამოხატული. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს თავიანთი უფლებები, პასუხისმგებლობები და ხელმისაწვდომი რესურსები მათი აკადემიური ცხოვრების დაწყებისთანავე. უსდ უზრუნველყოფს სათანადო მექანიზმის არსებობას სტუდენტების საჩივრების დროული და სამართლიანი განხილვისათვის. სტუდენტების დასაქმების და კარიერული პერსპექტივების გაზრდის მიზნით, უსდ უზრუნველყოფს შესაბამის კარიერული მხარდაჭერის სერვისებს, დამსაქმებელთა ჩართულობის პროგრამებს და სტაჟირების შესაძლებლობებს. მრავალფეროვანი კლასგარეშე ინიციატივების საშუალებით, რომლებიც მოიცავს სპორტულ, ხელოვნების, კულტურულ აქტივობებს და ინტელექტუალურ მისწრაფებებს, უსდ ცდილობს უზრუნველყოს მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების გამოცდილება. თუმცა, სტუდენტების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის არარსებობა და უსდ - ში მულტიკულტურული გარემოს შექმნა ხაზს უსვამს დამატებითი რესურსებისა და სპეციალიზირებული პერსონალის საჭიროებას. შესაბამისად, სასურველია სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება. გარდა ამისა, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადაგა გარკვეული ნაბიჯები პარტნიორი საერთაშორისო უნივერსიტეტების და დამსაქმებლების ქსელის გაფართოების მიზნით, აღნიშნული მიმართულებით შემდგომი ძალისხმევა არსებით სარგებელს მოუტანს სტუდენტებს. სხვადასხვა ინდუსტრიასა და რეგიონში სხვადასხვა ინსტიტუციასთან და ორგანიზაციასთან პარტნიორობის დამყარებით, უსდ - ს ეძლევა შესაძლებლობა სტუდენტებს შესთავაზოს საერთაშორისო გაცვლითი, ერთობლივი კვლევისა და პროფესიული განვითარების გაძლიერებული შესაძლებლობები. საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და დამსაქმებლებთან პარტნიორობის გაღრმავება სასარგებლო იქნება სტუდენტების წარმატების მთავარი მისიისათვის. ცხადია, რომ უსდ - ს წინ აქვს მნიშვნელოვანი შესასრულებელი სამუშაო აღნიშნული მიმართულებით. თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ავლენს სტანდარტებთან შესაბამისობის სურვილს. თუმცა, სასურველია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ პრიორიტი მიანიჭოს ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის სერვისების ჩამოყალიბებას, მულტიკულტურულობის ხელშეწყობას და საერთაშორისო პარტნიორობის და დამსაქმებელთა ქსელების გაფართოებას სტუდენტური გამოცდილების შემდგომი გამდიდრების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებები; • სტუდენტების მხარდამჭერი მექანიზმები; • სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების საგანმანათლებლო მომსახურების პოლიტიკა; • საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო გეგმის აქტივობების განხორციელების/შეფასების რეგულაციები; • სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმი; • კარიერული მხარდაჭერის სერვისები; • საგანმანათლებლო პროცესის ელექტრონული სწავლების სისტემის განვითარების დებულება;

• ინფორმაცია პარტნიორი უნივერსიტეტების შესახებ; • უნივერსიტეტის ვებგვერდი – www.iut.edu.ge
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააფართოოს საერთაშორისო პარტნიორობა და დამსაქმებელთა ქსელები, სტუდენტური გამოცდილების გამდიდრებისა და მათი განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
რჩევები: 1. მიზანშეწონილია, სტუდენტებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა ☐ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ☐ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ☐ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ სტრატეგიული განვითარების გეგმაში და თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს, რომ მისი მიზანია სამეცნიერო საქმიანობაში აკადემიური აქტივობების ინტეგრირება, კვლევის ხარისხის ამაღლება და საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში გამორჩეული პოზიციის დაკავება. აღნიშნული მიმართულებით ის განსაზღვრავს რიგ მიზნებსა და გამოწვევებს. თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით რთულია აღნიშნული მიმართულების შეფასება. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ

უნივერსიტეტი არის ახალი, შესაბამისად, მას არ გააჩნია გამოყენებითი კვლევების მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება. თუმცა, მას აქვს ამბიციური გრძელვადიანი გეგმები და ღირებული თეორიული საფუძვლები, რაც მის კვლევით საქმიანობას ხდის პერსპექტიულს. თვითშეფასების ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი სტრატეგიულად და ფინანსურად მზად არის ხელი შეუწყოს როგორც აკადემიურ, ასევე პრაქტიკულ ინიციატივებს. თუმცა, თვალსაჩინოა საბიუჯეტო რესურსების ნაკლებობა აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, თუ რა რაოდენობის სასწავლო აქტივობების განხორციელება მოუწევს პერსონალს უნივერსიტეტში (სტუდენტების და მცირე საკლასო აქტივობების გადაჭარბებული რაოდენობის გამო, შესაძლოა კურსები ისწავლებოდეს უსასრულოდ) და ის ფაქტი, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს სხვა ვალდებულებები (ჩვეულებრივ სხვა უნივერსიტეტებში, ასევე ზოგიერთს მთავრობაში, სამინისტროებსა და საავადმყოფოებში), ართულებს აღნიშნული მიზნების განხორციელების შესაძლებლობას.

კვლევის ერთ - ერთ მთავარ პრიორიტეტს, როგორც ჩანს, წარმოადგენს საქართველოში მწვანე ტენდენციების განვითარება. აღნიშნული დასაფასებელია და აშკარად მეტყველებს იმ საჭიროებაზე, რომელიც გამოვლინდა ბაზრის (სასარგებლო) კვლევის შედეგად. თუმცა, პროექტები არ არის სათანადოდ შემუშავებული და დაინტერესებულ მხარეებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ჩამოუყალიბებელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას მწვანე სექტორში კარგი შედეგების მისაღწევად ან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.

ზემოთ აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ეკონომიკურ აგენტებთან თანამშრომლობის წახალისების მიზნით განხორციელებულმა აქტივობებმა. უნივერსიტეტმა გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ბიზნეს ასოციაციასთან“ და შპს „ბიოაგროსთან“. აღნიშნულ კომპანიებთან თანამშრომლობის მიზნით რეალურ სამუშაო გარემოში სტაჟირებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის ხელშეწყობა. სტუდენტებისთვის ცოდნის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების განვითარება და აღნიშნულ სფეროში ჩართულობა; მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავების უზრუნველყოფა. აღნიშნული ასევე გულისხმობს დამსაქმებლების მოთხოვნების დაკმაყოფილებას შესაბამისი ცოდნითა და უნარებით. მემორანდუმის გარდა, ხაზგასმულია მჭიდრო თანამშრომლობა და მხარდაჭერა უნივერსიტეტსა და ორგანიზაციას შორის აქტივობების ერთობლივი დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე დარგის აქტუალურ საკითხებსა და გამოწვევებზე რეაგირების კუთხით. თუმცა, ეკონომიკური აგენტების წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს შედეგად, მათ მიერ დაფიქსირებული შესაძლებლობები ბუნდოვანი იყო. ცხადია, რომ რამდენიმე კურსდამთავრებულს შეუძლია რეალურად დასაქმდეს აღნიშნულ დამსაქმებლებთან, თუმცა მათი სამომავლო გეგმები უნივერსიტეტთან დაკავშირებით (უნივერსიტეტში მზის პანელების დაყენება) ნაკლებად ან საერთოდ არ უკავშირდება კვლევას ან კარიერულ განვითარებას.

იგეგმება დამატებითი მემორანდუმების გაფორმება სააგენტოებთან და ეკონომიკურ აგენტებთან. აღნიშნულთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა დამატებითი დოკუმენტაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის ახალი უნივერსიტეტი, კვლევის მიმართულებით ხელმისაწვდომია შეზღუდული მტკიცებულებები. თუმცა, არსებული ვითარება კვლევით პროექტებთან დაკავშირებით (სადაც ისინი ჩამოთვლილია ვებგვერდზე, მაგრამ ბმულების ან ბიუჯეტის გარეშე) არ არის საკმარისად გამჭვირვალე.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კვლევით პროექტებთან დაკავშირებით ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალის შესახებ, აღნიშნული არ დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს, მათ ვერ წარმოადგინეს მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდებოდა შესაბამისი აქტივობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები სტრატეგიული განვითარების გეგმა თვითშეფასების ანგარიში ბიუჯეტი ინტერვიუს შედეგები სამეცნიერო და ბიზნეს საქმიანობის ინსტიტუციური პოლიტიკა განხორციელებული კვლევითი პროექტები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, კვლევითი პროექტების შესახებ ვებგვერდზე განთავსდეს დეტალური ინფორმაცია. 2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სათანადოდ შეიმუშაოს კვლევითი პროექტები, რომლებშიც თავად არის ჩართული, ასევე ჩართულობის დონე, ბიუჯეტი და ამ პროექტების შემდგომი პერსპექტივები. 3. უნივერსიტეტში არსებობს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მინიმალური მტკიცებულება. აღნიშნული საკითხი უნდა იყოს მოგვარებული. 4. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი იყო ინფორმაცია კვლევით პროექტებთან დაკავშირებით ეკონომიკურ აგენტებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი კვლევითი პოტენციალის შესახებ, აღნიშნული არ დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუების დროს, მათ მიერ არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორ განხორციელდებოდა შესაბამისი აქტივობები. აღნიშნული საკითხი უნდა გამოსწორდეს და დაზუსტდეს არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი სინერგიის პოტენციალი. კონკრეტული პროექტები, დაფინანსების გარანტიები, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ. უნდა იყოს უზრუნველყოფილი და გაანგარიშებული და სათანადოდ უნდა იყოს განმარტებული ეკონომიკური აგენტების ჩართულობა.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაში მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო - შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. - o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. - o უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის მიზანს წარმოადგენს სამეცნიერო - კვლევითი და პროფესიული მუშაობის ხარისხის ამაღლება, კვლევითი და პროფესიული საქმიანობის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების ხელშეწყობით. აღნიშნული გულისხმობს აკადემიურ და კვლევით პროცესებში სრულყოფილებისაკენ თავდაუზოგავ სწრაფვას, ასევე სამეცნიერო - კვლევითი პროცესების ინტეგრაციასა და ინტერნაციონალიზაციას. უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტების მოტივირება აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში, კომერციალიზაციის მცდელობებში გაძლიერებული მონაწილეობის ხელშეწყობა, საბოლოოდ სამეცნიერო - კვლევითი და პროფესიული საქმიანობის გაძლიერება. გამიზნულია აღნიშნული პროგრესის განხორციელება, როგორც სავალდებულო რეგულაციების შესაბამისად, ასევე ნებაყოფლობითი კონკურენტული ფორმატით. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის (აფილირებული აკადემიური პერსონალი) მოტივაციის ერთ - ერთი გზა შეიძლება იყოს, მაგალითად, ფინანსური წახალისება, აღნიშნული არ განხორციელებულა და მექანიზმი არ არის კარგად განვითარებული. გარდა ამისა, არ არის შემუშავებული კონკრეტული მექანიზმები სტუდენტების კვლევით და აკადემიურ საქმიანობაში ჩართვისათვის (გამოქვეყნებების გზით და ა.შ.). ასევე, არ არის ხელმისაწვდომი შიდა ჟურნალი (თუმცა ბმული მოცემულია ვებგვერდზე). ერთი დადებითი ასპექტი ის არის, რომ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ აღნიშნული პერიოდისათვის უნივერსიტეტს უკვე შეთავაზებული ჰქონდა აკადემიური პერსონალის ტრენინგი სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ისევე როგორც სხვა შესაბამისი მიმართულებებით, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფის მიზნით. ეს ნამდვილად დადებითად აღსანიშნავია. უნივერსიტეტს აქვს არაერთი ერთობლივი ხელშეკრულება საზღვარგარეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. სავარაუდოდ, ზოგიერთი მათგანი მიზნად ისახავს კვლევითი კავშირების განვითარებას და პერსონალის გაცვლას. თუმცა, ამჟამად, ყველაზე დიდი და ამოსაცნობი მიზანი იყო უკრაინის უნივერსიტეტებში სტუდენტების „შეგროვება“, რომლებმაც ომის გამო შეიჩერეს განათლების მიღება. თუმცა, ეს არ არის მნიშვნელოვანი ინტერნაციონალიზაცია. სამეცნიერო აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა დაგეგმილია უნივერსიტეტის ბიუჯეტის მთლიან ჩარჩოში, ისევე, როგორც სხვადასხვა სამეცნიერო და საგრანტო პროექტიდან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციიდან. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის საქმიანობის ეფექტიანობა

ფინანსური სახსრების მოზიდვაში სხვადასხვა საერთაშორისო ფონდიდან და ორგანიზაციიდან საშუალოზე დაბალია. როგორც ჩანს აღნიშნული საკითხი არ არის კარგად ნაფიქრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;

სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვა უნივერსიტეტებთან;

ინტერვიუები;

ბიუჯეტი;

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

რეკომენდაციები:

1. მიუხედავად იმისა, რომ ცხადია პერსონალის კვლევითი საქმიანობის გარკვეული მხარდაჭერა, რეკომენდებულია, უკეთესი და მკაფიოდ განსაზღვრული წახალისების უზრუნველყოფა.

2. რეკომენდებულია, სტუდენტების კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის უზრუნველყოფა სათანადო წამახალისებელი ღონისძიებებით.

3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტს ჰქონდეს უფრო ფართო ვალდებულება კვლევით პროექტებთან დაკავშირებით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მოწინააღმდეგე დაწესებულებების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

- ☐ შესაბამისობაა მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ახალი უნივერსიტეტი, საკმაოდ რთული იყო დაწესებულების კვლევის შედეგების შეფასება.

თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგების შეფასების და ანალიზის მექანიზმები არ არის ადეკვატური. არ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუდმივი ხელმძღვანელი და საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების როლების გადაფარვამ ზოგიერთი თანამშრომელიც კი დააბნია. უნივერსიტეტში არ არსებობს წახალისებისა და შემაფერხებელი ფაქტორის ეფექტური სისტემა პერსონალის აკადემიური პროდუქტიულობის წახალისების მიზნით. აღნიშნული გულისხმობს, რომ პერსონალი არ არის სათანადოდ დაჯილდოებული კარგი ხარისხის პუბლიკაციებისთვის. ასევე, არ ხორციელდება მათი გაფრთხილება, იმ შემთხვევაში თუ ისინი საერთოდ არ აქვეყნებენ. სამეცნიერო სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება ამჟამად მიმდინარეობს სკოლებში, სადაც კვლევაზე პრიორიტეტული აქცენტი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო და სტუდენტთა ინტერესებს. სამეცნიერო აქტივობების სტრატეგიული დაგეგმვა ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში ხორციელდება სკოლის მიერ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი არ იყო დარწმუნებული, რომ არებობდა აღნიშნულის ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა, რადგან პერსონალს სავარაუდოდ არ ჰქონდა საკმარისი დრო და მატერიალური რესურსი (სტუდენტების რაოდენობისა და მათი თანამსრომლობა სხვა უნივერსიტეტებთან), მიუხედავად აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წევრის წარსული შესანიშნავი კვლევისა (განსაკუთრებით სამედიცინო სკოლაში). მიუხედავად იმისა, რომ კვლევის აქტივობების მონიტორინგის პროცედურები განახლდება და შეფასდება ყოველწლიურად, საინტერესოა თუ როგორ მოხდება აღნიშნულის განხორციელება ან რა მეთოდოლოგია იქნება გამოყენებული კონკრეტული შეფასების გასაკეთებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუს შედეგები; უნივერსიტეტის ბიუჯეტი; კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.
რეკომენდაციები: 1. კვლევითი საქმიანობის ძლიერი და ეფექტური შეფასებისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია კვლევით ცენტრში და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში პერსონალი დასაქმებული იყოს სრულ განაკვეთზე. 2. რეკომენდებულია, შეიქმნას წახალისებისა და შემაფერხებელი ფაქტორის კარგი სისტემა, აკადემიური პროდუქტის სრულყოფილების წახალისების მიზნით.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): საკითხები, რომლებიც დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს და შესაძლოა კარგი მაგალითი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი - o უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. - o დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. - o დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. - o დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უძრავი ქონება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში კანონის შესაბამისად. უნივერსიტეტს დადებული აქვს გრძელვადიანი (8 წლიანი) იჯარის ხელშეკრულება მილენიუმის უნივერსიტეტთან შენობისა და აღჭურვილობის გამოყენებაზე სამედიცინო პროგრამის განსახორციელებლად. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაშია სხვადასხვა პროგრამირებადი კომპიუტერები, პროექტორები, პრინტერები, აუდიო - ვიზუალური აღჭურვილობა, სკანერები, სათვალთვალო კამერები, საპროექციო ეკრანები, სერვერები, ქსელური კამერები და WiFi მოდემები. ობიექტები აღჭურვილია ბუნებრივი ვენტილაციით და დაცვის პერსონალი ეფექტურად აკონტროლებს და ოპერატიულად რეაგირებს რეგულაციებთან შესაბამისობაზე. ისინი ასევე უზრუნველყოფენ სასწავლო მასალების უსაფრთხოდ შენახვას. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დაცულია სტუდენტებისა და პერსონალის ფიზიკური უსაფრთხოება. მთელ შენობაში დამონტაჟებულია და გამართულად ფუნქციონირებს ვიდეომეთვალყურეობის სისტემები და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, საგანგებო სიგნალიზაციის ინსტრუქციებთან და საგანგებო სიტუაციების მართვასთან ერთად. უსაფრთხოების ოფიცერთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ მოსწავლეებს გადაეცემათ ევაკუაციის დამატებითი ინსტრუქციები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციის პრობლემების თავიდან აცილების მიზნით უნდა გაუმჯობესდეს

ადმინისტრაციული პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონე, განსაკუთრებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროს. ხელმისაწვდომია პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარება, რომელიც დაკომპლექტებულია სერტიფიცირებული სამედიცინო პროფესიონალებით (ექიმებით). უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების საშუალებებით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დამატებითი პანდუსის დამატება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების შეუფერხებელი მოქმედების უზრუნველსაყოფად. ასევე, დიდი რაოდენობის სტუდენტების შემთხვევაში, სწავლის პროცესში ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ექიმების მორიგეობა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში არსებობს ადაპტირებული ინფრასტრუქტურა ლიფტების, პანდუსებისა და სანიტარული საშუალებების ჩათვლით. ასევე არსებობს საინჟინრო ანგარიში შენობის უსაფრთხოებისა და გათბობის შესახებ. ლაბორატორიულ სივრცეებში ნივთები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს არ არის გამოყენებული. სანიტარული მოწყობილობები დამონტაჟებულია ცალკე, უწყვეტი წყალმომარაგებით და ჰიგიენური საშუალებით. სანიტარიულ ობიექტებში ჰიგიენური ნორმები მკაცრად დაცულია. სასადილოში არ იკეტება საპირფარეშო და საჭიროებს შეკეთებას.

უნივერსიტეტში არის ხელმისაწვდომი სივრცე, რომელშიც გამოყოფილია ავტოსადგომი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა დასაბინავებლად, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს. ასევე, ამჟამად შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებს კაფეტერია, რომელიც ემსახურება როგორც სტუდენტებს, ასევე თანამშრომლებს.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა კლინიკასთან და სამედიცინო ცენტრთან.

ექსპერტთა ჯგუფი ეწვია დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრს, რომელიც მოქმედებს სახელწოდებით "მედ ინვესტი". ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაფასეს სტუდენტური და საგამოცდო სივრცეები. ასევე, ჯგუფის წევრების რეკომენდაციაა უნივერსიტეტმა გააფართოვოს კლინიკური ობიექტები, რათა უზრუნველყოს ადეკვატური პრაქტიკული სამუშაო ადგილები სტუდენტებისთვის, ვინაიდან არსებული რესურსები შეიძლება არ იყოს საკმარისი.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ახალი შენობის მშენებლობის გეგმა. გეგმაში გათვალისწინებულია საცეკვაო და სპორტული სივრცეები, კაფეტერია, ბიბლიოთეკა და დასასვენებელი ოთახები, მაგრამ მას აკლია სტუდენტებისთვის მკაფიოდ გამოყოფილი სივრცეები (აუდიტორიები). თუმცა, დეტალური ინფორმაცია დაფინანსების შესახებ და პროექტის ვადები არ იყო აღნიშნული. უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულია აუდიტორიები და სამედიცინო და ბიზნესის პროგრამებისთვის განკუთვნილი ლაბორატორიები, ხოლო მთავარ შენობაში განთავსებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის 8 სადგური და იტევს დაახლოებით 255 სტუდენტს სხვადასხვა ოთახში და საკონფერენციო დარბაზში. ზოგიერთი ოთახი, როგორიცაა საგამოცდო ცენტრი, აღჭურვილია კომპიუტერებით. უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტების განაწილების გეგმა. ჯგუფის წევრებმა განიხილეს და შეაფასეს მოწოდებული დოკუმენტები და განისაზღვრა, რომ გეგმის განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებითი პერსონალი და რესურსები, რაც არ არის მარტივად მისაღწევი. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების მომსახურების მიზნით დაწესებულმა ცვლებმა შეიძლება წარმოქმნას გამოწვევები და გაზრდილი ხარჯები, კომპლექსურ ამოცანად რჩება არსებულ შენობაში სტუდენტთა დიდი რაოდენობის ეფექტური სწავლების უზრუნველყოფა. როგორც ჩანს, მორიგეობის განხორციელებამ შეიძლება გაზარდოს საოპერაციო ხარჯები და სტუდენტებს შეუქმნას სირთულეები, არსებულ შენობაში მარტივი არ იქნება სტუდენტების ასეთი დიდი

რაოდენობისათვის მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველყოფა. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს რამდენიმე ოთახი ბუნებრივი განათების გარეშე და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მოგვიანებით განაცხადეს, რომ აღნიშნული სივრცე არ იქნებოდა გამოყენებული სასწავლო მიზნებისთვის.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილზე ვიზიტი • ინტერვიუ • ხელშეკრულებები კლინიკებთან • პროექტის გეგმა	
რეკომენდაციები: 1. ფაკულტეტის სივრცე არასაკმარისია სასურველი სტუდენტების რაოდენობისთვის. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სივრცე ან შემცირდეს სტუდენტების რიცხვი. 2. აუდიტორიები ბუნებრივი განათების გარეშე არ უნდა იყოს გამოყენებული. 3. უნდა გაიზარდოს კლინიკურ ბაზებთან ხელშეკრულებების რაოდენობა, იმისათვის, რომ ადეკვატურად მოერგოს სტუდენტების მოსალოდნელ რაოდენობას.	
რჩევები:	
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია ისეთი აუცილებელი რესურსებით, როგორც არის ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერები, პრინტერები, ქსეროქსი და სკანერი. ბიბლიოთეკაში სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან ინტერნეტზე შეუზღუდავი წვდომით. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაფასეს და დაათვალიერეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი და მისი შესაბამისობა სილაბუსებთან. სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში, ხოლო სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამის ფიზიკური მასალა უმეტეს შემთხვევაში მიუწვდომელია. ასევე, ჩვენ ვიპოვნეთ მრავალი წიგნი, რომელიც ეკუთვნოდა წინა	

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც არანაირი კავშირი აქვს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროგრამებთან. უნივერსიტეტის განცხადებით, სტუდენტებსა და თანამშრომლებს საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე წვდომა შეუძლიათ მხოლოდ კამპუსის ტერიტორიიდან და ის გარედან მიუწვდომელია. გარდა ამისა, ელექტრონული წიგნები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის შიდა ქსელის მეშვეობით. თუ მომხმარებელი ითხოვს ელექტრონულ წიგნს, ის 24 საათის განმავლობაში გაიგზავნება მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. უნივერსიტეტი აპირებს შეაგროვოს უკუკავშირი და რეკომენდაციები, შემდეგ კი ყურადღებით გააანალიზოს და შეაფასოს მიღებული ინფორმაცია პოტენციური ცვლილებების განსაზღვრის მიზნით. გარდა ამისა, ისინი მიზნად ისახავენ შეიმუშაონ საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარების გეგმები მიღებული უკუკავშირის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სამუშაო საათებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00 საათიდან 21:00 საათამდე და შაბათს 10:00 საათიდან 15:00 საათამდე. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ორ ცვლაში და იცავს გამოყენების სპეციფიკურ წესებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა ბიბლიოთეკისგან განცალკევებული საარქივო სივრცე. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სივრცე აუთვისებელი იყო, მხოლოდ რამდენიმე თარო და მერხი იყო განთავსებული, არ იყო კომპიუტერი რეესტრის ჩანაწერების საწარმოებლად; შესასვლელი არის პირდაპირ ეზოდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილზე ვიზიტი • ინტერვიუ • ვიზიტი ბიბლიოთეკაში
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, რეაბილიტაციისთვის უკეთესი ფიზიკური მასალების უზრუნველყოფა. 2. რეკომენდებულია, მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის გარეთაც ან ვებ პორტალის მეშვეობით.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- o უსდ-მ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი.
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- o უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- o უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ვებგვერდი www.iut.edu.ge შექმნილია WordPress პლატფორმის გამოყენებით. ვებგვერდზე განთავსებულია სტუდენტური პორტალი, ელექტრონული მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავს სტუდენტთა პერსონალურ საკითხებს, სკოლის შეფასებებს, პროგრამის ხედვებს, საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფების ფორმირებას, საგანმანათლებლო პროგრამების კურსის მონაცემთა ბაზას და თითოეული კურსის სილაბუსებს. თუმცა, ამჟამად ვებგვერდი მიუწვდომელია საზოგადოებისთვის და ჯგუფის წევრებს არ აქვთ შესაძლებლობა დაინახონ დეტალები, თუ როგორ ფუნქციონირებს ვებგვერდი სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის გარეთ.

ჯგუფის წევრებს ჰქონდათ საშუალება შეხვედროდნენ პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელს, რომელმაც აღნიშნა, რომ მან უნივერსიტეტის მოთხოვნით განახორციელა გარკვეული ცვლილებები. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამით სარგებლობს საქართველოში მოქმედი სხვადასხვა უნივერსიტეტი. დამატებით, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ უნივერსიტეტში არსებულ კომპიუტერებში დაინსტალირებულია MS Windows - ის სხვადასხვა ვერსია და ბევრი მათგანი ვერ ხსნის Excel - ს ზოგიერთი MS პროგრამული უზრუნველყოფის შემთხვევაში.

უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ტექნოლოგია ემსახურება უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში მართვისა და საგანმანათლებლო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას. აუდიტორიებში ლექცია/სემინარების დროს გამოიყენება პროექტორები და პლაზმური ტელევიზორები აუდიოვიზუალური პრეზენტაციების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეო მასალისა და კვლევის შედეგების ჩვენების მიზნით, როგორც სწავლისა და აღმოჩენის პროცესის ნაწილი.

უნივერსიტეტის წვდომის კონტროლის სისტემით რეგულირდება სტუდენტების, პერსონალის და ვიზიტორების შემოსვლა და გასვლა უნივერსიტეტის შენობაში და ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ წვდომის კონტროლის სისტემა სრულად ფუნქციონირებს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის, უნივერსიტეტის შენობის კონტროლირებადი წვდომის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ელექტრონული ბარათების სისტემა.

ვებგვერდი არ ფუნქციონირებს გამართულად, ბევრი გვერდი და დოკუმენტი მიუწვდომელია ან ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე, აღნიშნული ასევე უნდა განიმარტოს ზემოთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ინტერვიუ
- ვებგვერდი
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის პოლიტიკა

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: 1. უნივერსიტეტის ვებგვერდი უნდა გაუმჯობესდეს, მათ შორის, გარე გამოყენებისთვის ვებპორტალის დამატებით.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7.4 ფინანსური რესურსი - o უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. - o უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას. - o უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა. - o უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. - o უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ბიუჯეტი შედგება სამწლიანი გეგმისგან, რომელიც იწყება 2024 წელს. ინტერვიუებისა და განხილვების დროს გამოვლინდა, რომ მიმდინარე წელს რთული იქნება შემოსავლების მიღება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის ხანგრძლივობის გათვალისწინებით. ასევე, უნივერსიტეტს არ ჰქონდა შედგენილი ფინანსური დაბრკოლებების გარეშე ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მოგება - ზარალის ქულების და სტუდენტების მინიმალური რაოდენობის ზუსტი გაანგარიშება. სარეზერვო გეგმების არსებობის მიზნით, უნივერსიტეტის გეგმის მიხედვით დამფუძნებელს სურს განხორციელოს ინვესტიცია უნივერსიტეტში. ასევე ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ერთი სტუდენტითაც გააგრძელებდა ფუნქციონირებას, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი კონკრეტული დოკუმენტი ან მტკიცებულება არ არსებობს. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება შევხვედროდით უნივერსიტეტის დამფუძნებელს. მიუხედავად ამისა, პირველი სესიის დროს დაწესებულების დირექტორებმა სიტყვიერად დაადასტურეს სტუდენტების მოზიდვისას წარმოქმნილი პრობლემების შემთხვევაში ალტერნატიული დაფინანსების შესაძლებლობები.

ამჟამად უნივერსიტეტს არ აქვს ფინანსური ვალდებულებები ფინანსური ინსტიტუტების მიმართ. ჩვენ ვნახეთ შპს სასწავლო უნივერსიტეტ მილენიუმის შენობისა და აღჭურვილობის საიჯარო ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთადერთ ფინანსურ ვალდებულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ადგილზე ვიზიტი • ბიუჯეტი • ინტერვიუები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მდგრადი ფუნქციონირების მიზნით დაემატოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები. 2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს მკაფიო გამოთვლები, იმისათვის, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალობა და სასურველ მიზნებსა და რეალურ რესურსებს შორის მკაფიო თანხვედრა.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან